# ხონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

**დადგენილება №36**

**2011 წლის 26 ოქტომბერი**

**ქ. ხონი**

## სახელოვნებო საგანმანათლებლო დაწესებულებების – აიპი ხონის სამუსიკო სკოლისა და აიპი ხონის სამხატრო სკოლის დამთავრების დამადასტურებელი მოწმობების ფორმების და მათი გაცემის წესის დამტკიცების შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-16 მუხლის მე-3 პუნქტის და 43-ე მუხლის მე-2 პუნქტის, აგრეთვე „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე ხონის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

1. დამტკიცდეს მუნიციპალიტეტის სახელოვნებო საგანმანათლებლო დაწესებულებების – აიპი ხონის სამუსიკო სკოლისა და აიპი ხონის სამხატრო სკოლის დამთავრების დამადასტურებელი მოწმობების ფორმები (დანართი №1).
2. დამტკიცდეს ხონის მუნიციპალიტეტის სახელოვნებო საგანმანათლებლო დაწესებულებების – აიპი ხონის სამუსიკო სკოლისა და აიპი ხონის სამხატრო სკოლის დამთავრების დამადასტურებელი მოწმობების გაცემის წესი (დანართი №2).
3. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

**საკრებულოს თავმჯდომარე  გ. გელენიძე**


დაკეთა: ხონის მუნიციპალიტეტის გამგეობა
დამზადებული:
სგმ-რეგისტრაციის №

დანართი №2
საქართველო
ხონის მუნიციპალიტეტი
სერტიფიკატი

საქართველო
ხონის მუნიციპალიტეტი
სკოლისგარეშე სახელოვნებო საგანმანათლებელი დაწესებულების
დამთავრების დამადასტურებელი
მოწმობა
სერია აა №
მიენიჭა
რომელიც _____ წელს ჩაირიცხა და _____ წელს დაამთავრა
მიღებული შემდეგი შეფასებები:
1. 2. 3. 4. 5. 6. 7.
8. 9. 10. 11. 12. 13. 14.
გაცემის თარიღი
Date of issua


GEORGIA
MUNICIPALITY OF XONI
CERTIVICATE
OF COMPLETING THE OFF-SCHOOL
ART EDUCATIONAL ESTABLISHMENT
serial AA №
This is to certy _____ was accepted
At the Off-school Art Educational Establishment
On _____ and graduated on _____ with the following grades
1. 2. 3. 4. 5. 6. 7.
8. 9. 10. 11. 12. 13. 14.
დირექტორი
Director Mr/Ms
პასუხისმგებელი პირი
Responsible person:
ბ.ა.
Seal
/_____/
/_____/
დამოწმებულია

## სახელოვნებო საგანმანათლებლო დაწესებულებების –აიპი ხონის სამუსიკო სკოლისა და აიპი ხონის სამხატრო სკოლის დამთავრების დამადასტურებელი მოწმობების გაცემის წესი

1. ხონის მუნიციპალიტეტის სახელოვნებო საგანმანათლებლო დაწესებულებების აიპი ხონის სამუსიკო სკოლისა და აიპი ხონის სამხატრო სკოლის დამთავრების დამადასტურებელი მოწმობების (შემდგომში – მოწმობები) გაცემას უზრუნველყოფს ხონის მუნიციპალიტეტის გამგეობის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური (შემდგომში – სამსახური).

2. მოწმობების დაკვეთას მუნიციპალიტეტის გამგეობის წინადადებით ხონის მუნიციპალიტეტის საკრებულო მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე.

3. დამზადებული მოწმობების დამამზადებლისაგან გამოტანის უფლება აქვს სამსახურის უფროსს ან პირს, რომელსაც გააჩნია სპეციალურად ამ მიზნით გაცემული რწმუნებულება.

4. მოწმობების შესანახად და გასაცემად გამოიყოფა პასუხისმგებელი პირი, რომელიც მოწმობებს ინახავს ცეცხლგამძლე სეიფში. პასუხისმგებელი პირი უზრუნველყოფს მოწმობების გაცემის რეგისტრაციას შესაბამის ჟურნალში.

5. მოწმობების მისაღებად სამსახურში ყოველ სასწავლო წლის ბოლოს წარმოდგენილ უნდა იქნეს დაწესებულების დირექტორის მიერ ხელმოწერილი და ბეჭდით დამოწმებული განაცხადი და ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დამტკიცებული კურსდამთავრებულთა სიები საბოლოო შეფასებებით სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ საგნებში.

6. სამსახურიდან მოწმობის გატანის უფლება აქვს დაწესებულების დირექტორს ან, სათანადო მინდობილობისა და პირადობის მოწმობის წარმოდგენის საფუძველზე, დაწესებულებაში მოწმობის გაცემაზე პასუხისმგებელ პირს.

7. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია ინახება სამსახურში.

8. მოწმობის შევსება ხორციელდება სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ საგნებში კურსდამთავრებულის მიერ მიღებული შეფასებების აღნიშვნით დაწესებულების მიერ გამოყოფილი პასუხისმგებელი პირის მიერ.

9. გასაცემი მოწმობების რეგისტრაციას, შენახვას და გაცემას უზრუნველყოფს დაწესებულების დირექტორი ან მისი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განსაზღვრული პასუხისმგებელი პირი.

10. გაცემული მოწმობების ქსეროასლები, დამოწმებული ბეჭდითა და გაცემაზე პასუხისმგებელი პირის ხელმოწერით, ინახება დაწესებულებაში.

11. გამოსაყენებლად უვარგისი მოწმობების ჩამოწერა შეიძლება შევსების დროს დაშვებული შეცდომისა ან ფიზიკური დაზიანების შემთხვევაში.

12. გამოსაყენებლად უვარგისი მოწმობების ჩამოწერა უნდა მოხდეს დაწესებულების დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით შექმნილი კომისიის ოქმისა და ჩამოწერის აქტის საფუძველზე.

13. გამოსაყენებლად უვარგისი მოწმობების ერთი ნახევარი (ქართული ნაწილი) ინახება დაწესებულებაში, ხოლო მეორე ნახევარი (ინგლისური ნაწილი) წარედგინება სამსახურის კომისიის აქტთან და ოქმთან ერთად, რის საფუძველზეც გაიცემა მოწმობის ახალი ფორმა.